

## WEG-ის რეკომენდაციები ფიქლის გაზის განვითარებასთან დაკავშირებით

*საქართველოში ფიქლის გაზის განვითარება მოითხოვს ენერგეტიკის სექტორში ინვესტორთა და სპეციალისტთა სამოქმედო გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და გრძელვადიანი სტაბილობის მექანიზმების შექმნას რისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:*

- აუცილებელია ჩამოყალიბდეს ქვეყნის საფუძვლიანი ენერგეტიკული სტრატეგია და განისაზღვროს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები და ღონისძიებები;
- განისაზღვროს სტრატეგია ბუნებრივი გაზის სექტორში სადაც ტრადიციულ ბუნებრივ გაზთან ერთად უნდა განხილულ იქნას ყველა არატრადიციული წიარისეული ენერგეტიკული ნედლეული, მათ შორის: ნახშირის ფენის მეთანი, “მჭიდრო“ გაზი (Tight gas), გაზჰიდრატები, გოგირდწყალბადი და სხვა;
- ენერგეტიკული უსაფრთხოების გასაზრდელად და გაზის ათვისების შესაძლებლობების გასაზრდელად აშენდეს ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავი;
- დაიწყოს მუშაობა ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს და შესაძლებელს გახდის ენერგეტიკულ, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში კომპრომისების მიღწევას;
- ჩამოყალიბდეს გამჭვირვალე გაზის ბაზარი: მოხდეს მიწოდების და განაწილების საქმიანობათა გაყოფა (unbundling), გადაიხედოს გაზის ტარიფის ფარული და ღია სუბსიდირების მექანიზმები
- დაჩქარდეს ნორმატიული გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესვლი და ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვით.
- მოხდეს საკითხის ინსტიტუციონალიზაცია - ნავთობისა და გაზის კორპორაციაში შეიქმნას შესაბამისი დეპარტამენტი, რომელიც დაკავებული იქნება არატრადიციული წიაღისეული ენერგორესურსების თემატიკით;
- სამუშაოები წარმართოს ოთხი ძირითადი მიმართულებით:
  - საკითხის პოლიტიკური ასპექტები (სტრატეგია, ძირითადი მიმართულებები, სახ. პროგრამა და სხვ.)
  - საკანონმდებლო-ნორმატიული (ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვ. კანონები, რეგულაციები, სტანდარტები; მოსახლეობის ცოდნის ამაღლება);
  - ტექნიკური (მასალების დამუშავება, ერთიანი საინფორმაციო ბაზა, ლაბორატორიის აღჭურვა ან საქართველოში მოძიება და მისი შესაბამისი

*სერტიფიკაცია, კადრების მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა, მოსახლეობის ცოდნის ამაღლება და სხვ.).*

- დაიწყო დონორებთან აქტიური მუშაობა ტექნიკური და ფინანსური დახმარების მოსაპოვებლად

ამ ღონისძიებების გატარება სრულად შეესაბამება და ემსახურება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდის, ენერგეტიკის ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და პროფესიულ განვითარების, ფინანსური გამლიერების ინტერესებს.